ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო სხდომის ოქმი #08

11.12.2017

რუსთავი

2017 წლის 11 დეკემბერს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მერვე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრი დელეგატების უმრავლესობა და მოწვეული სტუმრები - ექსპერტები. შეხვედრას უძღვებოდა ბ-ნი პავლე თვალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. შემუშავებული რეკომენდაციების მომზადება კენჭისყრის პროცედურისათვის;
2. რეკომენდაციების პუნქტობრივი კენჭისყრა;
3. შეხვედრის შეჯამება.

11 დეკემბრის შეხვედრაზე დელეგატებმა კენჭი უყარეს რეკომენდაციების თითოეულ პუნქტს, განსაზღვრეს და შეიმუშავეს მუნიციპალიტეტის მერისათვის წარსადგენი დოკუმენტის საბოლოო ვერსია. აღნიშნულ წარსადგენ დოკუმენტში წარმოდგენილია დასაბუთებული რეკომენდაციები და საკითხები (იხ. დანართი 1), რომელიც შეესაბამება ქალაქის მინიციპალიტეტის კომპეტენციას.

თითქმის ყველა პუნქტი საბჭომ ერთხმად დაამტკიცა და დოკუპენტის საბოლოო ვერსია მიიღო.

შემდეგი შეხვედრა ჩაინიშნა 18 დეკემბერს 19:00 სთ-ზე.

სხდომის მდივანი

ნუკრი რამიშვილი

დანართი 1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები ბიუჯეტის პრიორიტეტებთან და პროექტებთან დაკავშირებით

1. ინფრასტრუქტურა

ტრანსპორტი:

1. მოხდეს მუნიციპალური სატრანსპორტო პარკის განახლება. არსებული ავტობუსები ჩანაცვლდეს ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით. ამასთანავე, მოხდეს ხაზების დამატება, ტრანსპორტის გრაფიკის გახანგრძლივება და გამოკვრა გაჩერებებზე;

(განახლებული ავტოპარკი და დამატებული ხაზები ხელს შეუწყობს მუნიციპალური ტრანსპორტის პოპულარობას ქალაქის მოსახლეობაში. ასევე, გაზრდის კონკურენტუნარობას არსებული მოძველებული სამარშუტო ტაქსებთან მიმართებაში, სწორი მენეჯმენტისა და საფასო განაკვეთების შემთხვევაში შესაძლებელია, გახდეს მომგებიანი საქმიანობა. ამასთანავე, შემცირდება ჰაერში ტოქსიკური გამონაბოლქვი, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას);

2. შეიქმნას ავტომობილების პარკირების სისტემა და მოეწყოს პარკინგის ადგილები-აღნიშნულის მართვა განხორციელდეს გარე რესურსების გამოყენებთ;

(პარკირების სისტემის შემუშავება ხელს შეუწყობს ქალაქის ტრანსპორტის გადაადგილების მოწესრიგებას, საერთო სივრცეების უკეთ ათვისებას, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ასევე დამატებით შემოსავლის წყარო იქნება ქალაქის ბიუჯეტისათვის); (10 მომხრე ; 2-მა თავი შეიკავა)

3. ხელი შეეწყოს ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხოებას;

(აღნიშნული გულისხმობს უსაფრთხო გადაადგილების სისტემისა და ტექნიკური რეგლამენტის შემუშავებას. ასევე, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, როგორიცაა გადასასვლელების მოწყობა, სატრანსპორტო კვანძებში შუქნიშნების მოწესრიგება და ფეხით მოსიარულეთა ხიდების გაკეთება, ველოსიპედებისთვის განცალკევებული სპეციალური ზოლის, ველო-პანდუსების მოწყობა, ველო-შუქნიშნების ღილაკებით და ველო-სადგომების გამოყოფა ქალაქის მასშტაბით, სარბენი ბილიკების მოწყობა ქალაქის სხვადასხვა ადგილას და აშ.);

4. მოწესრიდგეს რუსთავის დამისამართება და მოხდეს ქალაქის მარკირება

(განხორციელდეს მიკრორაიონების, ქუჩების, კორპუსების დამისამართება, დასახელებებისა და ნუმერაციის ვიზუალიზაცია. ასევე, განხორციელდეს რუსთავში

არსებული საზოგადოებრივი, ტურისტული ობიექტებისა და ბილიკების შექმნა-მარკირება);

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია:

1. მუნიციპალიტეტის დონეზე მოხდეს სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევის სისტემატიზაცია, დამუშავდეს კრიტერიუმები და მოხდეს შეფასებითი წონების მინიჭება. ინფორმაცია მოსახლეობისთვის იყოს ხელმისაწვდომი.
2. აღმოიფხვრას ბაღების ნაკლებობა (რადგან მიუხედავად იმისა, რომ ბაღებში თითოეულ ჯგუფში ბავშვების რაოდენობა აღემატება ნორმას, მაინც ბევრი ბავშვი ყოველწლიურად რჩება ბაღის გარეთ) – მაგ.: დაემატოს შენობები

ეკოლოგია:

1. მოხდეს ქალაქის მეტად გამწვანება; განხორციელდეს პარკების, სკვერების, ეზოების, საზოგადოებრივი სივრცეების განაშენიანება დამატებითი რუსთავისთვის შესაბამისი, რეალურად გახარებადი მწვანე საფარით.
2. ქალაქმა იზრუნოს ქალაქის ტექნიკური წყლის ქსელის შექმნაზე; ამ მიზნით მოხდეს შესაძლო ინვესტიციების შესწავლა.
3. მოხდეს ქარსაცავი ზოლების მოწყობა ქალაქის გარშემო ტერიტორიებზე;
4. განხორციელდეს ნარჩენების ეფექტური მართვა და მოხდეს ნაგვის სეპარაციაზე ორიენტირება;
5. მოხდეს გარე ვაჭრობის შესახებ არსებული რეგულაციების აღსრულება და ამასთანავე მოეწყოს ორგანიზებული ვაჭრობის დამატებითი კეთილმოწყობილი ადგილები ქალაქის გარეუბნების მასშტაბით.

2. ჯანმრთელობა და სოციალური საკითხები

სერვისები შშმ პირთათვის:

1. ხელმისაწვდომი გახდეს ქალაქში შშმ პირებისთვის სხვადასხვა სერვისები, მოხდეს აღრიცხვიანობა და საჭიროებების გამოვლენა. ქალაქმა შეიმუშაოს სტრატეგია შშმ პირებთან მიმართებაში (მათ შორის ჯანმრთელობის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციასთან მიმართებით). გადაიხედოს მათი შეღავათები ვაუჩერიზაციაზე, მედიკამენტებზე და ტრანსპორტზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა:

1. ჩატარდეს აქტიური მუშაობა სადეზინფექციო და ანტიეპიდემიური კუთხით.

(მოხდეს ბუნკერების მიმდებარე სივრცის გარეცხვა და დამუშავება; საცხოვრებელი კორპუსების პერიოდული შეწამვლა სადეზინფექციო მასალით. აღნიშნული ქმედება გამოიწვევს ეპიდემიისა და ვირუსების რისკების შემცირებას და უზრუნველყოფს სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნას).

„ხანდაზმულთა“ კლუბი:

ქალაქმა განიხილოს „ხანდაზმულთა“ კლუბის შექმნისა და მუშაობის სტრატეგიის საკითხი.

(კლუბი იმუშავებს თვითრეალიზებისა და სოციალიზაციის მიზნით). 12 მომხრე 1-მა თავი შეიკავა

სამოქალაქო რისკების მართვის ცენტრი

საბჭო ქალაქს წარუდგენს სამოქალაქო რისკების მართვის ცენტრის სტრატეგიას.

3. გაკვეთილების შემდგომი და ჰობი განათლების მუნიციპალური პროგრამა

პროგრამის მიზანი - სასკოლო ასაკის (6-18 წელი) ბავშვების ფიზიკური, ინტელექტუალური, სულიერი და სოციალური განვითარება სკოლის გარეშე და ჰობი განათლების მუნიციპალური პროგრამის დანერგვის გზით.

ამოცანები:

- ბავშვების თავისუფალი დროის ორგანიზება;
- ბავშვებში (6-18 წლის) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- სპორტის და ხელოვნების სფეროში ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა;
- სპორტის და ჰობი განათლების აქტიობებში ჩართული ბავშვების და მოზარდების რაოდენობის გაზრდა.

პროგრამის ბენეფიციარები:

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 6-18 წლის **6658 ბავშვი** რუსთავის ყველა მუნიციპალური ერთეულიდან.

პროგრამის ვადები: პროგრამის მიზნებისთვის აკადემიურ წლად განისაზღვრება ოქტომბერი-ივლისის თვეები: (სულ 8 თვე).

პროგრამის განმხორციელებელი: იურიდიული, მუნიციპალური ან ფიზიკური პირი. სავალდებულო რეგისტრაციას (ავტორიზაცია) გადის მუნიციპალიტეტში.

რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა

- პროგრამის განმხორციელებელი სუბიექტის წესდება (იურიდიული პირების შემთხვევაში);
- სასწავლო მიმართულების კურიკულუმი;
- ინფორმაცია მწვრთნელ-მასწავლებელთა, სოციალურ და ახალგაზრდა მუშაკთა შესახებ;
- ინფორმაცია საკუთრებაში/მფობელობაში არსებული შენობა-ნაგებობი, ოთახების, ფართობის, მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაცია ბოლო წლების ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა - ვაუჩერული ტიპი, ინდივიდუალურად ბავშვზე მიბმული.

ნაცვლად არსებული პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებისა პროგრამა გვთავაზობს სისტემური ცვლილების განხორციელებას სპორტის, ხელოვნების და ახალგაზრდობის სფეროში, რითაც უზრუნველყოფილ იქნება გამჭირვალე, კონკურენტული გარემოს შექმნა, დაიზოგება საბიუჯეტო სახსრები და გაორმაგდება სერვისების ეფექტი და ხარისხი.

ყოველი სასწავლო წლის ოქტომბრიდან ივნისის ჩათვლით პროგრამული დაფინანსება ერთ ბავშვზე 240 ლარის შემთხვევაში (ჯამში 8 თვე, 30 ლარიანი ვაუჩერის შემთხვევაში) პროგრამის საერთო ბიუჯეტი 1,597,920 ლარი .

სპორტის ან ხელოვნების ის მიმართულება, რომელიც დამატებით ფინანსებს საჭიროებს (არ არის საკმარისი 30 ლარიანი ვაუჩერი, მაგ: ცურვა, ჩოგბურთი, მინანქარზე მუშაობა) მშობელი ვალდებულია გასწიოს თანადაფინანსება და სხვაობა შევსებული იყოს საკუთარი სახსრებით.

დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით თანხების მოზიდვას. ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სამი მუნიციპალური არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობა, მათი საშტატო ნუსხა და სახელფასო განაკვეთები. პროგრამისთვის აუცილებელი პირველადი დაფინანსების უზრუნველყოფა მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი ააიპ-ების მიმდინარე და დაგეგმილი ბიუჯეტის ნაწილებიდან იქნება შესაძლებელი.

- ა.ა.ი.პ. „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“
- ა.ა.ი.პ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი“
- ა.ა.ი.პ „ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“

სამართლებრივი უზრუნველყოფა

➢ ***ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.***

მუხლი 360. მხარეები თანხმდებიან ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობაზე, რათა:

- ხელი შეუწყონ თანამშრომლობასა და გაცვლებს ახალგაზრდობის პოლიტიკის, ასევე ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთა არაფორმალური განათლების სფეროში;

- ხელი შეუწყონ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულების მობილურობის გაზრდას, რაც წარმოადგენს კულტურათაშორისი დიალოგის, ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მიღების ხელშეწყობის მექანიზმს, მათ შორის მოხალისეობის გზით;

➢ *საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.*

მუხლი 15. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილა განახორციელოს ღონისძიებები: …"ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების"…

➢ *სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის # 553 განკარგულებით.*

4. განათლება

1) მოხდეს ბაღების აღჭურვა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი რესურსებით (სასწავლო/განმავითარებელი მასალები, ლიტერატურა, სათამაშოები და სხვ.)
2) გადაიხედოს ბაღის მენეჯერის უფლება-მოვალეობები და მისი ხელფასის მიზნობრიობა.
3) გადამზადდნენ ბაღების პედაგოგები (გადამზადებისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას მე-2 მუხლიდან გამოთავისუფლებული თანხებიც).
4) გამოთავისუფლდეს შენობები, სადაც მოხდება სკოლამდელი მოსწავლეების მომზადება სასკოლოდ. შემუშავდეს მოსამზადებელი პროგრამები. (9 მომხრე, 3 წინააღმდეგი, 1-მა თავი შეიკავა)

5) **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მუხლში „განათლება" პრეამბულაში აღიწეროს, რომ ეს მუხლი ეხება სკოლამდელ და სკოლისშემდგომ განათლებას.**

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N8

11 დეკემბერი, 2017

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტრენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კენჭოშვილი	
ინგა ჯიჯელავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	